კონკურსი „ფინანსური განათლება სკოლაში“ კომპლექსური დავალება

მასწავლებელი: ქეთევან ქიტესაშვილი. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

საფეხური: საკონკურსო დავალება განკუთვნილია საბაზო საფეხურისთვის.

საკითხები: დაზღვევა; პირადი ფინანსების მართვა; ბაზარი; კონკურენცია;

ქეისი

ქეთიმ მეგობრებთან ერთად ქართლში იმოგზაურა, უკან დაბრუნებული კი მშობლებს უყვება:

- ქართლი ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით დამამახსოვრდა ხეხილით და ბოსტნეულით გაშენებული ბაღები. რადგან ჩვენი ოჯახი რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო მიწას ფლობს, რომელიც დაუმუშავებელია, გამიჩნდა იდეა, გავაშენო ხეხილის ბაღი. ჩვენს ოჯახს დამატებითი შემოსავლის წყაროც გაუჩნდება. თან გარკვეული დანაზოგიც მაქვს ბანკში, შემიძლია ეს თანხა ამ საქმეს მოვახმარო. ისიც კი გავარკვიე, სად შევიძინო საუკეთესო ნერგები, ხეხილის მოვლასთან დაკავშირებით სტატიებსაც გავეცანი. ვფიქრობ, შევძლებ თავი გავართვა ამ საქმიანობას.

- დედა: ძალიან მიხარია, რომ ასე შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდი მოგზაურობიდან. ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიწები ნამდვილად ნოყიერია, თუმცა ამას წინათ ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე, რომ ფერმერებმა იმაზე ნაკლები მოსავალი მიიღეს ვიდრე ელოდნენ. ძლიერი ქარი, წვიმა, სეტყვა ხშირად აზიანებს მოსავალს.

- მამა: მართალია, ტელევიზიაშიც იყო სიუჟეტი, სადაც დაზარალებული ფერმერები სახელმწიფოს მიმართავდნენ დასახმარებლად. მესმის, რომ ძალიან გინდა ხეხილის ბაღის გაშენება, თუმცა , ვფიქრობ, სჯობს შენი დანაზოგით სხვა საქმიანობა წამოიწყო.

ქეთიმ მოუსმინა მშობლებს, სამომავლო გეგმებზე კიდევ ერთხელ დაფიქრდა და გადაწყვიტა ხეხილის ბაღი აღარ გაეშენებინა.

კომპლექსური დავალების პირობა:

ხშირად, ადამიანები ამბობენ, რომ მათ სმენიათ დაზღვევის სიკეთეებზე, თუმცა დაზღვევა ამისთვის საკუთარი ბიუჯეტიდან თანხის გაღება უჭირთ. წარმოიდგინე, რომ ხარ სადაზღვეო კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი. შენ უნდა გააკეთო ერთ-ერთი სადაზღვეო პროდუქტის რეკლამა, რათა დაარწმუნო საზოგადოება მისი შეძენის საჭიროებასა და სარგებელში. შექმენი სარეკლამო ბუკლეტი, სადაც წარმოდგენილი იქნება:

- სადაზღვეო პროდუქტის დასახელება;
- შენ მიერ შერჩეული სადაზღვეო პროდუქტის შესაბამისი ლოგო და სლოგანი;
- სადაზღვეო პროდუქტის პირობები (სადაზღვეო პრემიის ოდენობა და სხვა)
- ვისთვის არის განკუთვნილი სადაზღვეო პროდუქტი? ვინ არის სამიზნე აუდიტორია?
- რა სარგებელს მოუტანს სადაზღვეო პროდუქტი მომხმარებელს? რა უპირატესობით ისარგებლებს მომხმარებელი?

მითითება: შეისწავლე საქართველოში არსებული სადაზღვეო ბაზარი და შეეცადე შექმნა ისეთი ინოვაციური სადაზღვეო პროდუქტი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი არსებული პროდუქტებისა.

შენ შეგიძლია ბუკლეტი დაამზადო ხელით ან ელექტრონულად. ამაში დაგეხმარება სასწავლო ვიდეო: [როგორ შევქმნათ საინფორმაციო ბუკლეტი - YouTube]

აქტივობები კომპლექსური დავალების შესასრულებლად:

<u>აქტივობა N1: სადაზღვეო სისტემის მოზაიკა</u>

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფში არის 4 მოსწავლე. მათ ურიგდებათ ბარათები შემდეგ საკითხებზე: რისთვის არსებობს დაზღვევა? როგორ მუშაობენ სადაზღვეო კომპანიები? რატომ არის მნიშვნელოვანი დაზღვევა? რა ტიპის დაზღვევა არსებობს?

მოსწავლეებს, რომლებსაც ერთნაირი საკითხი შეხვდებათ, დაჯგუფდებიან ახალ ჯგუფში, სადაც საკითხს დაამუშავებენ სიღრმისეულად. ბოლოს თითოეული მოსწავლე უბრუნდება პირვანდელ ჯგუფს და დანარჩენ ჯგუფის წევრებს აცნობს

ბოლოს, მასწავლებელი გამოკითხავს მოსწავლეებს და შეაჯამებს თემას.

აქტივობაში გამოსაყენებელი რესურსი იხილეთ დანართი 1-ში. (წყარო: ფინედუ, სკოლა-ბანკის რესურსები).

<u>აქტივობა N2. საჭიროება და სურვილი</u>

მასწავლებელი მოსწავლეებს უხნის რას ნიშნავს საჭიროება და სურვილი, რათა მათ გამიჯნონ ერთმანეთისგან საჭიროება და სურვილი. მოსწავლეებს საკუთარი ცხოვრებიდან მოაქვთ მაგალითები და მსჯელობენ აღნიშნულ საკითხზე.

მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, სად არის დაზღვევის ადგილი? საჭიროებების თუ სურვილების ჩამონათვალში?

მოსწავლეები მსჯელობით მივლენ იმ დასკვნამდე, რომ დაზღვევა წარმოადგენს საჭიროებას.

<u>აქტივობა N3.</u> მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს საკუთარ ცხოვრებისეული პრიორიტეტებიდან გამომდინარე შეავსონ ცხრილი და წარმოადგინონ პრეზენტაცია კლასის წინაშე:

მოსწავლის სახელი, გვარი:	
საჭიროებები	**სურვილები**

<u>აქტივობა N4. ილიას ქეისი</u>

ილიას ქეისი: ილია საბანკო სექტორშია დასაქმებული, მისი ყოველთვიური ხელფასი 1800 ლარს შეადგენს. ილია ცდილობს შემოსავალი ისე განკარგოს, რომ პირველ რიგში, შეძლოს აუცილებელი ხარჯების დაკმაყოფილება, საჭიროების შემთხვევაში კი არა აუცილებელი ხარჯების გაღებაც. მას საკვებში თვიურად საშუალოდ 600 ლარი სჭირდება, ტანისამოსსა და ფეხსაცმელში 150, კომუნალურ გადასახადებში კი საშუალოდ 200 ლარი. ილია გადაადგილდება საკუთარი მანქანით, რომლის საწვავის ხარჯი 250 ლარს შეადგენს. ილიას დაზღვეული ჰყავს მანქანა, რისთვისაც თვეში იხდის 40 ლარს. გარდა ამისა, ილია სარგებლობს ჯანმრთელობის კერძო დაზღვევით, რისთვისაც თვეში იხდის 50 ლარს. ამ თვეში ილიამ მეგობრები დაპატიჟა კინოში და ბილეთებში 70 ლარი გადაიხადა. ილიამ 15 ლარიანი ახალი ტელეფონის ქეისიც შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ მას მსგავსი ქეისები უკვე რამდენიმე ჰქონდა. ილიას ძალიან უყვარს სიურპრიზების გაკეთება, მან გადაწყვიტა საკუთარი ძმა გაეხარებინა და მას საჩუქრად უკონტაქტო ყურსასმენები აჩუქა, რომელიც 80 ლარი დაუჯდა. ილიას ბანკში აქვს ანაბარი, სადაც ყოველთვიურად რიცხავს 30 ლარს.

მოსწავლეები ილიას ქეისის მიხედვით ავსებენ ცხრილს, განსაზღვრავენ ილიას შემოსავლებს, აუცილებელ (საჭიროება) და არააუცილებელ (სურვილი) ხარჯებს, ჯამურ ხარჯებს, დანაზოგს და ნაშთს.

ილიას შემოსავლები:	
აუცილებელი ხარჯები (საჭიროებები)	არა აუცილებელი ხარჯები (სურვილები)
დანაზოგი	
ნაშთი	

<u>აქტივობა N5. სადაზღვეო ბაზრის შესწავლა</u>

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად, მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს ავალებს შეისწავლონ საქართველოში მოქმედი რომელიმე ერთი სადაზღვეო კომპანია (მაგალითად, ჯგუფი 1-კომპანია „ალდაგი“, კომპანია 2 -„თიბისი“ დაზღვევა“, კომპანია 3 - ჯი პი აი ჰოლდინგი და ა.შ)

მოსწავლეები გამოიკვლევენ რა სადაზღვეო პროდუქტებს სთავაზობს მომხმარებელს სადაზღვეო კომპანიები და რა პირობებით, რამდენად კონკურენტულია ეს პროდუქტები. გააკეთებენ ბაზრის ანალიზს.

აქტივობა N6. მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ მივიღო გადაწყვეტილება რომელი სადაზღვეო კომპანიის პროდუქტი შევიძინო?

მოსწავლეები ჯგუფებში მსჯელობენ იმ კრიტერიუმებზე, რომლის მიხედვითაც უნდა აირჩიონ სადაზღვეო კომპანია და პროდუქტი. მასწავლებლის ფასილიტაციით ისინი თანხმდებიან საერთო კრიტერიუმებზე (მაგალითად, კომპანიის სანდოობა, სადაზღვეო პრემიის ხელმისაწვდომობა, შეზღუდვები და სხვა).

მასწავლებელი წარმოდგენილი რესურსის დახმარებით მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რა უნდა იცოდნენ მათ სადაზღვეო პროდუქტის შეძენამდე.

რესურსი 1. [რა უნდა იცოდეთ სადაზღვევო პროდუქტის შეძენამდე? - ფინანსური განათლების პორტალი (finedu.gov.ge)]

მოსწავლის შეფასების რუბრიკა

	შეფასების კრიტერიუმი	გასაუმჯობესებელი	საშუალო	კარგი
	ტერმინოლოგიის ფლობა	მოსწავლე ვერ ფლობს სადაზღვეო და საფინანსო სისტემასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიას	მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის/თანაკლასელის დახმარებით გამოიყენოს შესაბამისი ტერმინოლოგია და განმარტოს იგი	მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად განმარტოს და გამოიყენოს შესაბამისი ტერმინოლოგია რელევანტურად
	საჭიროებებისა და სურვილების დიფერენცირება	უჭირს საჭიროებებისა და სურვილების დიფერენცირება	დახმარებით ახერხებს საჭიროებებისა და სურვილების დიფერენცირებას	დამოუკიდებლად აკეთებს საჭიროებებისა და სურვილების დიფერენცირებას და განსაზღვრავს დაზღვევის ადგილს მათ ჩამონათვალში
	პირადი ბიუჯეტის ანალიზი	უჭირს შემოსავლების, აუცილებელი, არა აუცილებელი ხარჯებისა და დანაზოგის განსაზღვრა, ნაშთის გამოანგარიშება	დახმარებით ახერხებს შემოსავლების, აუცილებელი, არა აუცილებელი ხარჯებისა და დანაზოგის განსაზღვრას, ნაშთის გამოანგარიშებას	დამოუკიდებლად ახერხებს შემოსავლების, აუცილებელი, არა აუცილებელი ხარჯებისა და დანაზოგის განსაზღვრას, ნაშთის გამოანგარიშებას
	სადაზღვეო ბაზრის ანალიზი	ვერ ახერხებს სადაზღვეო ბაზრის შესწავლას, ანალიზს და დასკვნების გამოტანას	შეისწავლის სადაზღვეო ბაზარს, თუმცა უჭირს ანალიზის გაკეთება	შეისწავლის სადაზღვეო ბაზარს, აანალიზებს მას, აკეთებს რელევანტურ დასკვნებს.
	საბოლოო პროდუქტის შექმნა	ვერ ახერხებს საბოლოო პროდუქტის შექმნას და პრეზენტაციას	მოსწავლის საბოლოო პროდუქტი ნაწილობრივ პასუხობს დავალების პირობაში წარმოდგენილ მოთხოვნებს, ნაწილობრივ ჩანს მოსწავლის შემოქმედებითი უნარები	მოსწავლის ნამუშევარი სრულყოფილად პასუხობს დავალების პირობაში მოცემულ ინსტრუქციას, პროდუქტი სრულად შემოქმედებითია

ბარათი 4. სადაზღვევო კომპანია

ზოგჯერ ისეთი რისკების წინაშე ვდგებით (მაგ., ავარია, ხანძარი, ან სტიქიური უბედურება და ა.შ.), რამაც შესაძლოა ფინანსური ზარალი მოგვაყენოს ჩვენ და ჩვენს საქმიანობას. სწორედ ასეთ რისკებთან გამკლავებაში დაგვეხმარება დაზღვევა.

როგორ მუშაობენ სადაზღვევო კომპანიები?

საკუთარი ჯანმრთელობის, ქონებისა თუ საქმიანობის დაზღვევა გონივრული გადაწყვეტილებაა. დაზღვევა ნიშნავს, რომ თუ დაზღვეული პირი მოულოდნელი შემთხვევის შედეგად დაზარალდება, სადაზღვევო კომპანია მას ამ ზარალის გამოსასწორებლად საჭირო თანხას აუნაზღაურებს. ამის სანაცვლოდ, დაზღვეული პირი სადაზღვევო კომპანიას პერიოდულად უხდის შესაბამის საფასურს, რომელსაც სადაზღვევო პრემია ეწოდება. დოკუმენტს კი, რომელშიც მოცემულია დაზღვევის პირობები - სადაზღვევო პოლისი ეწოდება.

რატომ არის მნიშვნელოვანი დაზღვევა?

ხშირად ადამიანებს ეჩვენებათ, რომ დაზღვევაში ფულის გადახდა ფულის უაზრო ხარჯვაა, რაც არასწორი მიდგომაა: მომავალს წინასწარ ვერ განვჭვრეტთ, ამიტომ, აკობებს, თავიდანვე დავიჭიროთ თადარიგი და დაზღვევის დახმარებით ფინანსურად მზად ვიყოთ მოულოდნელობებისთვის. მაგალითად, თუ დავაზღვევთ საკუთარ ავტომობილს, მას კი ვიღაც დააზიანებს, მაშინ სადაზღვევო კომპანია აგვინაზღაურებს ზარალს.
დაზღვევის პოლისის შეძენამდე კარგად უნდა გავეცნოთ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობას, მაგალითად, კონკრეტულად რა შემთხვევაში და რა ოდენობით აანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია თანხას?

რა ტიპის დაზღვევა არსებობს?

ჯანრმთელობის დაზღვევა გვეხმარება სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფარვაში, რაც, დაზღვევის გარეშე, ძვირი დაჯდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ **სიცოცხლის დაზღვევის** მქონე პირი გარდაიცვლება, სადაზღვევო კომპანია გარდაცვლილის ოჯახს უნაზღაურებს დაზღვევის პირობებით წინასწარ შეთანხმებულ თანხას.

ქონების დაზღვევა სხვადასხვა ქონებას, მაგ., საცხოვრებელ სახლს, გარკვეული რისკებისგან იცავს, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, ან ყაჩაღობა.

ავტოდაზღვევა (ავტომობილის დაზღვევა) ავტოსაგზაო შემთხვევებთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს, მაგალითად, ავტომობილის შეკეთების ხარჯებს.

ავტოდაზღვევა სასოფლო მეურნეობებს ისეთი რისკებისგან იცავს, როგორიცაა სტიქიური მოვლენები (მაგ., გვალვა, წყალდიდობა); შინაური ცხოველის, თევზის ან ფრინველის დაავადებები და ა.შ.